



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 6 20 0000834905



15/09/2020

არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მიერ სასწავლო პროცესისათვის დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის და საბაზო საფეხურის VII კლასის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 9 სექტემბრის N804879 მოხსენებითი ბარათისა და სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 14 სექტემბრის N822615 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მიერ სასწავლო პროცესისათვის დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის და საბაზო საფეხურის VII კლასის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადა დადგინდეს 2020 წლის 15 სექტემბრიდან 2020 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით;

2.დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი

